



ბრძანება:ბ14.14221853

თარიღი:04/07/2022

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დასახლება გონიოში და დასახლება კვარიათში მდებარე უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) მათზე საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 ივნისის №ბ14.14221813 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

**1.** ცვლილება იქნას შეტანილი „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დასახლება გონიოში და დასახლება კვარიათში მდებარე უძრავი ქონების (პლაჟის მონაკვეთების) მათზე საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემისათვის პირობებიანი ელექტრონული აქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 ივნისის №ბ14.14221813 ბრძანებაში და ბრძანების დანართი 1-ში და დანართი 2-ში ამოღებულ იქნას 23-ე და 24-ე პუნქტები;

**2.** შეწყდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წლის 30 ივნისის №ბ14.14221813 ბრძანების საფუძველზე ქალაქ ბათუმში, დასახლება კვარიათში (სექტორი №5) მდებარე 4066.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №05.36.26.622) და დასახლება კვარიათში (სექტორი №4) მდებარე 3393.00 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ №05.36.26.621) პლაჟის მონაკვეთების საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის მიზნით გამოცხადებული №127 (ლოტი №1 - №127IMF122, ლოტი №2 - №127IMF222 და ლოტი №3 - №127IMF322) და №128 (ლოტი №1 - №128IMF122,

ლოტი №2 - №128IMF222 და ლოტი №3 - №127IMF322) პირობებიანი ელექტრონული აუქციონები.

**3.** ეთხოვოს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“-ს შეწყვიტოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდინარე №127 (ლოტი №1 - №127IMF122, ლოტი №2 - №127IMF222 და ლოტი №3 - №127IMF322) და №128 (ლოტი №1 - №128IMF122, ლოტი №2 - №128IMF222 და ლოტი №3 - №127IMF322) ელექტრონული აუქციონები.

**4.** დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს ბრძანების მე-2 პუნქტის შესრულება.

**5.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**6.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

